აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 14

ქ ბათუმი 7 ივნისი 2004 წ

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, ქეთევან ჯიქია, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, სიმონ ჩხაიძე, მამუკა წულუკიძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: სადამკვირებლო ორგანიზაცია ,,ფონდი-სამართლიანი არჩევნების"-თავისუფლების ინსტიტუტიდან მირანდა ჩარკვიანი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი დავით კირკიტაძე, "დემოკრატიული სიმართლის პარტიის" წარმომადგენელი ნინო ტყეშელაშვილი;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-9
წინააღმდეგი-0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია ,,ახალგაზრდული საზოგადოება "თაობა"-ს რეგისტრაციაში გატარების თაობაზე;

2. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისას გადასატანი ყუთის საშუალებით ხმის მიცემის უფლების მისაღებად ამომრჩევლის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისათვის მიმართვის ვადის თაობაზე;

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურიდან შემოსული წერილის თაობაზე;

4. სხვადასხვა

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია ,,ახალგაზრდული საზოგადოება "თაობა"-ს რეგისტრაციაში გატარების თაობაზე;

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა განკარგულების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია "ახალგაზრდული საზოგადოება "თაობა"-ს რეგისტრაციაში გატარების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ თუ ამ ორგანიზაციას აქვს სურვილი დაესწროს არჩევნების ჩატარების პროცესს, ჩვენ მივესალმებით, ვინაიდან ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალეობას.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-9
წინააღმდეგი-0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

2. დადგენილება
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისას გადასატანი ყუთის საშუალებით ხმის მიცემის უფლების მისაღებად ამომრჩევლის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისათვის მიმართვის ვადის თაობაზე;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დადგენილების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისას გადასატანი ყუთის საშუალებით ხმის მიცემის უფლების მისაღებად ამომრჩევლის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისათვის მიმართვის ვადის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გარშემო ისაუბრა კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ. მან

აღნიშნა, რომ როცა პირი მწოლიარე ავადმყოფია ან ავადაა და ასევე ვერ შეძლებს არჩევნების დღეს კენჭიყრაში მონაწილეობის მიღებას, ამისათვის საუბნო საარჩევნო კომისიას გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით უნდა მიემართოს არა უგვიანეს 2004 წლის 19 ივნისის 18.00 საათისა.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-9
წინააღმდეგი-0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა განკარგულების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურიდან შემოსული წერილის თაობაზე. მან სთხოვა კომისიის წევრს, ქეთევან ჯიქიას, წაეკითხა პროკურატურიდან გამოგზავნილი წერილი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მართალია 6 ივნისს განკარგულების პროექტი ქობულეთის №81/3 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატს, გურამ გოგიტიძისათვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე გავიტანეთ კენჭიყრაზე, შეზღუდული მუშაობისა და დროის სიმცირის გამო დავუშვით შეცდომა, რადგან წამოყენებული საკითხის გადაჭრა არ არის უსკო-ს კომპეტენცია, ამიტომ ეს შეცდომა სასწრაფოდ უნდა იქნეს გასწორებული შესაბამისი განკარგულების მიღებით.

წამოჭრილ პრობლემასთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა კომისიის წევრმა სიმონ ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", ასევე საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ნორმატიული აქტების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები არ სარგებლობენ იმუნიტეტით. ამასათანავე აღნიშნა მან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად(2004 წლის 13 თებერვლის რედაქციით) სადეპუტატო ხელშეუხებლობით არ

სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიც. ასევე, საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 102-ე მუხლი ადგენს საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატებისა და არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების ხელშეუხებლობას(იმუნიტეტს). ამდენად, აჭარის ავტონომური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, გურამ გოგიტიძეს იმუნიტეტი არ იცავს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის თხოვნას გურამ გოგიტიძისათვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ვერ განიხილავს.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-8
წინააღმდეგი-0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)
კენჭიყრაში მონაწილეობაზე თავი შეიკავა კომისიის წევრმა ს. დუმბაძემ.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	გ. მჭედლიძე